ცვლილებები ძალაშია 02/04/2018–დან
ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ საბანკო მომსახურების პირობებში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

1. შეიცვალა საბანკო მომსახურების პირობების 29[1] მუხლი და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

"მუხლი 29[1]. საბაზისო საბანკო პროდუქტები - „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება" / „ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება"

1. ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ" ("ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება"/"ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება").
2. საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობა („ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება"/"ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება") გულისხმობს მასში შემავალი საბანკო პროდუქტებით და შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის უფლების მოპოვებას, ცალკეულ საბანკო პროდუქტზე/მომსახურებაზე ფიქსირებული საკომისიოს გადახდის სანაცვლოდ.
3. საბაზისო საბანკო პროდუქტებში („ბიზნეს კლიენტების ანგარიშის მომსახურება"/"ბიზნეს კლიენტების ანგარიშის სრული მომსახურება") შემავალი საბანკო პროდუქტებია:
   3.1. ერთი მულტისავალუტო მიმდინარე ანგარიში;
   3.2. ინტერნეტ ბანკინგის სრული პაკეტი;
   3.3. ვიზა ბიზნეს ბარათი (1 ცალი);
   3.4. სადეპოზიტო ბარათი (2 ცალი);
   3.5. SMS მომსახურება (1 აბონენტზე);
   3.6. ავტომატური გადარიცხვა;
   3.7. სატელეფონო პინ–კოდი."